

დანართი 5: LAG-ის ინტერესთა კონფლიქტის დეკლარაცია



ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ხელშეწყობა



ინტერესთა კონფლიქტის დეკლარაცია



მუხლი 1. შესავალი

ახალქალაქის განვითარების ჯგუფის (შემდგომში „LAG“) ყველა წევრსა და თანამშრომელს, აგრეთვე პროექტების შეფასების კომიტეტის წევრებს გააზრებული უნდა ჰქონდეთ სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკის არსებობის მიზეზი. აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ ვერც-ერთმა წევრმა და თანამშრომელმა ვერ მოახდინოს გავლენა განაწვევტილებების მიღებაზე თავისი ინტერესების სასარგებლოდ. გარდა ამისა, LAG-მა უნდა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილებების სამართლიანობა და გამჭვირვალებობა.

LAG-ისა და პროექტების შეფასების კომიტეტის წევრები და თანამშრომლები ვალდებული არიან ხელი მოაწერონ ინტერესთა კონფლიქტის დეკლარაციას და შეავსონ ინტერესთა რეესტრი. LEADER კოორდინატორი პასუხისმგებელია ამ მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფაზე.

ახალი წევრის მიღებისას ან/და წევრთა ნებისმიერი როტაციის დროს, LAG-ის თითოეულმა წევრმა უნდა წარმოადგინოს სრული ინფორმაცია მათი ინტერესების შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მათ საქმიანობას, ყველა ბიზნეს ინტერესსა და საზოგადოებაში ჩართულობას, მათ შორის ქველმოქმედებასა და მოხალისეობას, რომელიც ასევე შეიძლება ჩაითვალოს როგორც „ინტერესი“.

LAG-ის და პროექტების შეფასების კომიტეტის წევრებმა, ასევე თანამშრომლებმა ყველა შეხვედრაზე უნდა განაცხადონ თავიანთი ინტერესების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) -

- ფინანსურ ან სხვა ნებისმიერი დახმარების განაცხადზე;
- LAG-ის მიერ მიღებულ ნებისმიერ ინიციატივაზე;
- LAG-თვის შეთავაზებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაზე, რომელშიც LAG-ის წევრი/თანამშრომელი, ან მასთან დაკავშირებული პირი ჩართულია, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით; და/ან
- ნებისმიერ საკითხზე, რომლიდანაც LAG-ის წევრი/თანამშრომელი, ან დაკავშირებული პირი მიიღებს სარგებელს, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მისი როგორც LAG-ის წევრობის/თანამშრომლის პოზიციიდან გამომდინარე, ან - LAG-ის მოქმედებისგან.

მას შემდეგ, რაც მოხდება ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირება, ამ პიროვნებამ უნდა დატოვოს ნებისმიერი სახის განხილვა და ის ავტომატურად კარგავს ხმის უფლებას. ეს დეკლარირება ფორმალურად უნდა ჩაიწეროს LAG-ის სხდომის ოქმში.

ინტერესთა კონფლიქტის განცხადება ვრცელდება ყველა პირზე, რომელიც ჩართულია განაცხადის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე

დანართი 5: LAG-ის ინტერესთა კონფლიქტის დეკლარაცია

განაცხადის შეფასების პროცესში. იმ შემთხვევებში, როდესაც ინტერესთა კონფლიქტის არსებობა დაფიქსირდება, უნდა მოხდეს ამ ფაქტის აღნიშვნა და ეს წევრი/თანამშრომელი არ უნდა იყოს იმ პროექტზე მუშაობაში ჩართული, სადაც თავს იჩენს ეს კონფლიქტი.

LAG-ის წევრის/თანამშრომლის ინტერესი კონკრეტულ საკითხში არსებულად მიიჩნევა მაშინ, როდესაც მასთან დაკავშირებულ პირს LAG-ის წევრთან ერთად აქვს საერთო ინტერესი და LAG-ის წევრს/თანამშრომელს ეცოდინება ამ ინტერესის შესახებ. ამ მიზნებისათვის, პირი დაკავშირებულად ითვლება LAG-ის წევრთან/თანამშრომელთან, თუ ეს პირი არის:

- მეუღლე, მშობელი, ძმა, და, შვილი ან გერი; ნათესავი ან LAG-ის წევრის/თანამშრომლის თანამცხოვრები; და/ან
- LAG-ის წევრის მიერ კონტროლირებადი იურიდიული პირი; და/ან
- ნდობით აღჭურვილი პირი, ბენეფიციარები რომლებიც მოიცავენ LAG-ის წევრებს ან პირებს/ორგანიზაციებს, როგორც LAG-ის პარტნიორებს.

მუხლი 2. ინტერესის ხარისხი

არსებობს ინტერესის ხარისხის სხვადასხვა დონეები, რომელიც LAG-ის წევრს/თანამშრომელს და პროექტების შეფასების კომიტეტის წევრს შეიძლება ჰქონდეს პროექტში:

2.1 პირადი ინტერესი

თუ წევრი ან თანამშრომელი მიიღებს ფინანსურ სარგებელს განაცხადისგან, ან არის დირექტორი ან იმ ორგანიზაციის კომიტეტის წევრი რომელსაც შემოაქვს პროექტი, იგი განიხილება როგორც პირადად დაინტერესებული პირი. ამ პირობებში, წევრი ან თანამშრომელი ვალდებულია განაცხადოს თავისი ინტერესი და პროექტის განხილვის დროს დატოვოს განხილვის ოთახი.

2.2 არაპირდაპირი პირადი ინტერესი

იმ შემთხვევაში, როდესაც წევრს აქვს არაპირდაპირი ინტერესი პროექტზე, მაგალითად, თუ ნათესავი დაკავშირებულია პროექტთან, ინტერესი უნდა გაცხადდეს. შემდეგ განხილვასა და ხმის მიცემაში ასეთმა წევრმა ან თანამშრომელმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ცალკეულ გარემოებებში, წევრის ან თანამშრომლის განხილვების ოთახის დატოვება შეიძლება იყოს მიზანშეწონილი, რაც დამოკიდებულია პროექტთან კავშირზე.

2.3 პირდაპირი პირადი ინტერესი

დანართი 5: LAG-ის ინტერესთა კონფლიქტის დეკლარაცია

იმ შემთხვევაში, როდესაც წევრს ან თანამშრომელს აქვს აშკარა და არსებითი პირადი დაინტერესება, წევრმა ან თანამშრომელმა არ უნდა მიიღოს საკითხის განხილვაში მონაწილეობა და დატოვოს განხილვების ოთახი.

თუ წევრს აქვს ეჭვი, რომ მისი პირადი ინტერესი ემთხვევა განხილვის საკითხს, მაშინ თანამშრომელმა ან წევრმა უნდა გაუმჟღავნოს შესაბამის პირს, რომელიც გააკეთებს ჩანაწერს მისი განხილვიდან გასვლასთან დაკავშირებით.

LAG-ის წევრები/თანამშრომლები და პროექტების შეფასების კომიტეტის წევრები თავიანთი მოვალეობის შესრულებისას მოიპოვებენ დასაფინანსებელ პროექტებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომელიც ჯერ არ გაცხადებულა და/ან არის კონფიდენციალური. LAG-ის წევრებმა და თანამშრომლებმა, კონფიდენციალური ინფორმაცია არ უნდა გამოიყენონ პირადი ინტერესებისათვის ან თავიანთი ნათესავების/ნაცნობების ან/და სხვა ადამიანების უპირატესობისათვის, ან LAG-ისათვის ზიანის მისაყენებლად.

დასაშვებია LAG-ის წევრის/თანამშრომლის მიერ LAG-ის წარდგენა სოციალურ აქტივობებზე, ღონისძიებებზე, ოფიციალურ სადილებზე, რომელიც ორგანიზებულია გარეშე პირის მიერ, თუმცა ასეთ შემთხვევებში წევრები/თანამშრომლები უნდა იყვნენ ფრთხილად, რადგან ისინი პირადად იქნებიან პასუხისმგებლები ყველა გადაწყვეტილებაზე, რომელიც დაკავშირებულია თანხმობაზე, საჩუქრის შემოთავაზებაზე, სტუმართმოყვარეობაზე ან/და საზოგადოებაში LAG-ის ნდობის დაზარალების რისკზე.

მუხლი 3. გაურკვეველი საკითხები

იმ შემთხვევაში, როდესაც წევრი/თანამშრომელი არ არის დარწმუნებული რომ მისი ჩართულობა აღიქმება როგორც ინტერესი, ან უნდა დატოვოს თუ არა განხილვის ოთახი, მაშინ შეხვედრის დაწყებამდე, მან უნდა მიმართოს LEADER კოორდინატორს რჩევისათვის. თუ აღნიშნული გაურკვეველი საკითხი ეხება LEADER კოორდინატორს, მაშინ საჭიროა ანგარიშვალდებული ორგანოს რჩევა. ამ მიზნებისათვის ანგარიშვალდებულ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.

დეკლარაცია	
წავიკითხე და სრულად მესმის ინტერესთა კონფლიქტის დადგენილების დეტალები. ვეთანხმები ამ დოკუმენტში მოყვანილი წესების და რეკომენდაციების შესრულებას, და დავიცავ ახალქალაქის LAG-ის ან პროექტის შეფასების კომიტეტის წევრობით ნაკარნახევ პრინციპებს და პროცედურებს	
ორგანიზაცია	როლი

დანართი 5: LAG-ის ინტერესთა კონფლიქტის დეკლარაცია

LAG-ი <input type="checkbox"/>	წევრი <input type="checkbox"/> თანამშრომელი <input type="checkbox"/>
პროექტის შეფასების კომიტეტი <input type="checkbox"/>	წევრი <input type="checkbox"/>
	<input type="checkbox"/>
	<input type="checkbox"/>
სახელი, გვარი	
ხელმოწერა	
თარიღი	